საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/223

ქ. ბათუმი 19 სექტემბერი, 2022 წ.

„უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2022 წლის მე-3 ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 სექტემბრის N01-02/215 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესისა“ და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ-ის 2022 წლის 16 სექტემბრის №1103608 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2022 წლის მე-3 ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 სექტემბრის N01-02/215 ბრძანების **№3 დანართში** (კომისიის შემადგენლობა) შევიდეს ცვლილება და მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ინგა დიასამიძე (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი) - კომიისიის წევრი.“

2. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშილის ქ. N30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**